25 თებ 4, ხუთშაბათი 1888 თებერვალი 4, ხუ

48

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	70
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთა
ბათა დასაბეჭდად უნდა
რედაქციას, ახალ ბებუთო
№ 9, ბ. ნ ხიდდიკელის სა
ვინის პროსპექტი, წერ
დოების კანცელარიას

ფასი განცხადე
სტრიქონ

1877—1888

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1

ტფილისი, 3 თებერვალი

დღესაც შეხვდებით ხოლმე მწერლობასა და მეცნიერებაში იმ აზრს, ვითომ ესა-და-ეს ერი, ესა-და-ეს კრებული ადამიანთა მოკლებულია ძალ-ღონეს წარმატებისას და, მაშასადამე, უღონოა დამკვიდროს ბედნიერება, კეთილდღეობა. მაგალითად, მრავალნი ევროპიელნი დღესაც დარწმუნებულნი არიან, რომ აფრიკის ხალხები, რომლებსაც ვერ შეუქმნიათ ძლიერი კულტურა, ეკონომიურად, ზნეობითად და გონებითად ვერ ამაღლებულან იმ წერტილამდე, რა წერტილზედაც ევროპიული ერები სდგანან, უნდა გადავარდნენ, ან-და სრულად ამოსწყდნენო და სხვებს, უფრო დაწინაურებულ, ერებს უნდა დაუთმონ ადგილიო.

ესეთი აზრი ძალიან ძვირად დაუჯდა კაცობრიობას, რადგანაც მან დაჰბადა მრავალი უსამართლოება, ბოროტ-მოქმედება, მრავალი ცრემლი და სისხლი დააღვრევინა ადამიანს და გზაზე გადაეღობა კაცობრიობის წარმატებას. მაგრამ კაცთა საბედნიეროდ იგი აზრი თან-და-თან სუსტდება, მცირდება, და, იმედია, მერმისში მხოლოდ იმისი ხსენება-ღა დარჩება; სამაგიეროდ ძლიერდება და ვრცელდება ის ჭეშმარიტი, კეთილი აზრი, რომ ადამიანი, რა ტომსაც უნდა ეკუთვნოდეს, რაც უნდა მდაბალს ხარისხზე იდგეს განათლებითა და კულტურითა, მაინც ადამიანია, ესე იგი შეძლება და ძალ-ღონე აქვს თან-და-თან წარმატებაში შევიდეს, სულიერად გაძლიერდეს. ნამდვილი მეცნიერება იმას გვეუბნება, რომ ყველა ტომს შეძლება აქვს წარმატების გზას დაადგეს, თუ რომ სხვა-და-სხვა გარემოებამ გზა არ შეუკრაო. ეს ჭეშმარიტი მეცნიერება იმასაც გვასწავლის, რომ ოდესმე დღევანდელი განათლებული კაცობრიობა ძალიან მდაბლა იდგა კულტურითა, სწავლა-განათლებითა, მაგრამ დღეს-კი სრულიად სხვა სურათს წარმოგვიდგენსო.

რაც დრო მიდის, ეს ჭეშმარიტი აზრი თან-და-თან ვრცელდება, სხვა-და-სხვა ერები, რომლებსაც ისე უყურებდნენ, ვითარცა პირუტყვსა, თან-და-თან წარმატებაში შედიან, ევროპის კულტურას და სწავლა-ცოდნას ითვისებენ, თუ რომ ხელის შემშლელი არა ჰყავთ და არავინ შეეცილა იმათ ელემენტარულს უფლებათა. სულ ოც-და-ხუთი წელიწადია მას აქეთ, რაც ამერიკელს ზანგებს, ორას ორმოც-და-ათის წლის მონობის შემდეგ, მიენიჭათ თავისუფლება. მას აქეთ გავიდა მხოლოდ ოც-და-ხუთი წელიწადი, და აბა ნახეთ რა მდგომარეობაში იმყოფებიან ის ზანგები, რომლებსაც პირუტყვებად სთვლიდნენ და ეპყრობოდნენ ვითარცა პირუტყვებს. რომელი უსამართლობა, რომელი ავ-კაცობა არ ჩაუდენიათ ზანგების მიმართ ჩრდილო-ამერიკის წინანდელს კანონს, თვით ამერიკელებს? ორ საუკუნეზე მეტია, რაც დღევანდელ ზანგების წინაპრებს ჰყიდულობდნენ აფრიკაში ვითარცა უბრალო საქონელს და ჯაჭვებით შებორკილები მიჰყავდათ ამერიკაში, სადაც იმათ ყოველ გვარი ტანჯვა და წვალება მოელოდა. ამერიკაში ზანგი კაცად არ ითვლებოდა და ამ გარემოებამ დიდი ლაქა დასდო თვით განათლებულ ამერიკელებს. მაგრამ ზანგების აუტანელს მდგომარეობასაც ბოლო მოეღო. გაისმა ღაღადება, რომ ზანგებიც ისეთივე ადამიანები არიან, როგორც მათნი მფლობელნი, რომ ქვეყნის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ საჭიროა ზანგებს დაეთმოს ყველა ის უფლებანი, რომელიც მინიჭებული აქვს თვით ამერიკელებსაო. მართლადაც, ეს კეთილი [illegible] 1863 წელს, 1-ს იანვარს, აბრაამ ლინკოლნის პრეზიდენტობის დროს. აბა ეხლა ვიკითხოთ, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებიან დღეს ზანგები. ამ ჟამად ჩრდილო-ამერიკაში ზანგების რიცხვი შვიდ მილიონზე ნაკლებია, და ამ შვიდს მილიონს ამ ოც-და-ხუთის წლის განმავლობაში დაუარსებია თვრამეტი ათასი სასწავლებელი, რომლებშიაც სწავლობს სულ ცრა ასი ათასი ყმაწვილი. გიმნაზიებსა, უნივერსიტეტებსა და სხვა-და-სხვა სპეციალურ სასწავლებლებში სწავლობს თექვსმეტი ათასი ზანგი სტუდენტი, ქალი და ვაჟი. მართალია, ზოგიერთნი იმას ამბობენ, რომ ზანგების ყმაწვილები ისე კარგად ვერა სწავლობენ, როგორც ევროპიელის ტომის ყმაწვილებიო, მაგრამ ამით იმას მაინც ვერ დაამტკიცებენ, რომ ზანგებს არ შეეძლოთ ოდესმე ევროპიელებს გაუსწორდნენ. საქმე ის არის, რომ ზანგებმა მხოლოდ გუშინ მოჰკიდეს ხელი სწავლა-განათლებას.

ეხლა ვნახოთ, რა მდგომარეობაშია ზანგების მწერლობა. ზანგებსა აქვთ ას ორმოც-და-ათი ჟურნალ-გაზეთი. ზოგიერთ გაზეთებს ათი ათასი ხელის მომწერი ჰყავს. აგრეთვე ზანგებს თავიანთი პროფესორები, მეცნიერები, პოლიტიკოსები და ორატორები ჰყავთ და [illegible] ლები უჭირავთ სახელმწიფო სამსახურშიაც.

ერთს ფრიად შესანიშნავს გარემოებას თავი უჩენია ზანგების ცხოვრებაში: როგორც
გების წინაპრები ტყვე
ნილნი არიან აფრი
და აფრიკის შორ
მირი იყო შეწ
სხვა-და-სხვა
ვიანთი ენებ
არც არავითარ
თავიანთ სამშო
ვიდა დრო და
ზანგებმა დიდის
წვალებისა და თ
ღირსების გათელვ
ყოფის შემდეგ,
პის სწავლა-ც
თლება და მაშინ
ვიანთი თითქმის ს
ნადირებული სამშო
კა. ეხლა ბევრი
უკან ბრუნდება და
რიკაში. განათლ
იმას გაიძახიან,
ჩვენ ისევ აფრიკას
და ვეცადოთ განათ
დავაყენოთ ჩვენი
მშობლოვო. ა
განათლება ისი
ზანგებმა
განაც ევრო
[illegible]
ვიფიქროთ, რომ ევ
ლა-ცოდნა და კულ
ზანგების მიერ გად
რიკის ნიადაგზე, შეჰ

ფელეტონი

დიაბოლინა

მოთხრობა

ვიტტორიო ბერსეციოსი

III*)

სინიორ პასკვალე ცას დაეწია სიხარულით, როცა თავისი შვილი ლიზა თავის სახლში [illegible] დაბრუნებული. მოხუცი მამა თავს ევლებოდა თავის ქერა-თმიანს, ცის-ფერ თვალებიანს ქალიშვილს. იმისმა ცქერამ, იმისმა ახლო ყოფნამ და ალერსმა რამდენისამე წლის სიცოცხლე მოუმატა და თითქო გადაახალისა ეს ხანში შესული კაცი. ლიზა და დიაბოლინაც კარგად მოთავსდნენ ერთმანერთთან. ლიზას ძალიან უხაროდა, რომ ჩემი ბიძაშვილი დიასახლისობს და ფუსფუსებს სახლში და მე-კი თავისუფალი ვარო. დიაბოლინაც, რომელსაც ბუნებითვე დიდად უყვარდა შნო და ლაზათი, სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, რომ ლიზა ისე დამშვენებულიყო თვალად და ტანად.

სინიორ პასკვალეს ერთი რამ აწუხებდა მხოლოდ: ლიზას არ მოსწონდა სოფელი და მოუთმენლად ელოდ[illegible]იდას მოსვლას. საცოდავი მამა [illegible]ად-ღა ატყუებდა თავის თავს: [illegible] ჩანდა, რომ ლიზას ალბერტოს ცოლობა უნდოდა და მხოლოდ იმასა ჰნატრობდა, როდის იქნება გამოვეთხოვო და იქნება სამუდამოდაც გამოვეთხოვო ჩემის დედ-მამის სახლსაო.

გავიდა დრო და ჟამი. სინიორა ვერონიკამ თავისი სიტყვა შეასრულა და შემოდგომაზე მოვიდა მონტეჯილიოში. ლიზა ისე მიეგება თავის მამიდას, როგორც პატიმარი და პყრობილი მიეგებება ხოლმე თავის მხსნელსა და განმათავისუფლებელს. სამაგიეროდ ტილდა და ვერონიკა-კი მტრად გადაეკიდნენ ერთმანერთს. ვერონიკამ მოსვლის უმალვე აითვალწუნა ეს ქალი. თომაზო მართალს ამბობს, იფიქრა ვერონიკამ: დიაბოლინა ისეთი რამ ყოფილა, რომ ყველას გააგიჟებს და გადაჰრევს თავის სილამაზითაო. ამის გამო აღელვებულმა და აღშფოთებულმა მამიდამ გულ-ზვიადობითა და დიდ-გულობით დაუწყო ცქერა დიაბოლინას. გულითა და სულით უნდოდა, რომ წუნი დაედო ყველაფრისათვის, რასაც-კი დიაბოლინა გააკეთებდა. და როცა ამას ვერ ახერხებდა, ვერონიკა თავის ძმას გადასწვდებოდა ხოლმე. ტყუილად გაგიბატონებია ოჯახში ტილდაო, — ეჩიჩინებოდა ვერონიკა თავის ძმას, — ტყუილად აძლევ ნებას, რომ ასე ირთობოდეს და იპრანჭებოდეს, დროსა ჰკარგავდეს ფორტეპიანოს აყოლითაო. ბევრად უკეთესი იქმნებოდა, რომ მზარეულობა იცოდეს, ჰრაკერვა ეხერხებოდეს, სარეცხი ედგას და ან უთო ეჭიროს ხელშიო. მაგრამ დიაბოლინამ ისე მოაწონა თავი მამიდასაც, რომ ველარ მოითმინა და ქება უთხრა. მამიდას ქება იმითი დაიმსახურა დიაბოლინამ, რომ დაჰხატა ლიზას სურათი და დიდის ხელოვნებით, ცხოვლად წარმოადგინა ტილოზედ სინარნარე და სიკეკლუცე თვრამეტის წლის გასათხოვარის ქალისა.

ბოლოს, როგორც იყო, სინიორა ვერონიკასა და ლიზას ლოდინს საზღვარი დაედო; ალბერტო იწერებოდა, რომ ორს დღეს შემდეგ მოვალო. შეიქმნა აყალმაყალი. დაიწყეს მზადება და სახლის მილაგ-მოლაგება; ლიზას ტანისამოსი ყურადღებით გადასინჯეს და მიალამაზ-მოალამაზეს; მაგრამ უფრო დიდი აყალმაყალი თვით ლიზას გულში ასტყდა.

მოვიდა ალბერტოც. ალბერტო ისე მხიარული აღარ იყო, როგორც წინად. ბოლო ხანებში როგორღაც მოწყენილობა სწვევოდა ამ ადვოკატს. ვიღაც ქალთან დაეწყო ცულლუტური არშიყობა, მაგრამ ეს არშიყობა მისდა სასიამოვნოდ ვერ გათავებულიყო. და აი ეხლა წამოსულიყო მონტეჯილიოს, იმიტომ-კი არა, რომ ლიზას სიყვარულითა ბნდებოდა, არამედ უფრო იმიტომ-რომ ჩემი სიტყვა არ გავტეხო და ის ყმაწვილი ქალიცა ვნახო, რომლისათვისაც ისეთი ახირებული მეტი სახელი — დიაბოლინა დაურქმევიათო. ამ დროს ლიზა აღარც-კი ახსოვდა.

მაინც დიდხანს-კი არ გაუვლია, რომ ლიზას მშვენიერებამ კვლავ მოჰხიბლა ალბერტო და უფრო მეტად დაიმონჯვა, ვიდრე წინად. სოფელში ცხოვრება, სოფლის არე-მარე უფრო მოუხდა ლიზას. როცა ბაღში დაცქრიალებდა ყვავილთა შორის, გეგონებოდათ, რომ ყველაზე ლამაზი და ტურფა ყვავილი თვითონ არისო. ჩაცმა-დახურვითაც ისე ჩააცვა და დაჰხურა დიაბოლინამ, რომ ახლა უფრო წერწეტი და ნარნარი გამოჩნდა ლიზა. თვითონ ტილდას-კი მორიდებით ეჭირა თავი, თითქო სცდილობს, რომ არავინ არ შემამჩნიოსო; მამიდა ვერონიკას დიდად მოსწონდა, რომ დიაბოლინა ასე იქცეოდა. ალბერტო თითქმის ხმას არც-კი სცემდა ლიზას ბიძაშვილს. რამდენჯერ სთხოვეს, თუ ბიძამ თუ თომაზომ, დაუკარ რამე ფორტეპიანოზეო, მაგრამ დიაბოლინამ თავი მოიკლა და არ დაუკრა და არც თავისი ნახატი სურათები აჩვენა სტუმრად მოსულს ყმაწვილს კაცსა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ალბერტომ დაცინვაც დაუწყო თომაზოსა.

— თქვენი სინიორინა ტილდა ისეთი რამ ყოფილა, რომ თუ ტელესკოპით არ დაუკვირდი, სხვაფრივ მაგისას ვერას გაიგებ, — უთხრა ერთხელ როგორღაც ალბერტომ თომაზოსა: — ვის გაუგონია, ისე უჭირავს თავი, თითქო შორი ვარსკვლავი იყოსო!

თომაზოს არ ეჭაშნიკა ეს სიტყვები და უპასუხა:

— იმიტომ იქცევა აგრე, რომ არ უნდა თავი გამოიჩინოს.

— ალბად მე არა ვყოფილვარ ღირსი, რომ ვიხილო მა
ნობა. მე უფრო ისა მ
რაც მაგას ღირსება მ
ოცნების ნაყოფი უფრ
თომაზომ იტკიცა
გაწითლდა თავის ჩვ
— ღმერთმა ჰქმნ
შენც დაინახავ მაგ ქა
და ღირსებას, მეტის-მეტ
დირიო! ნახე შენ ლიზას
— ვნახე. საოცარი
— მერე იცი, ვინ დ
— მე მხოლოდ მხატვრო
რითა ვსტკბებოდი და ის-კ
კითხავს, ვისმა ხელმა შეჰქმნ
ცარი ნახატი.

— მაშ იცოდე, რომ ეგ
ტილდის დახატულია, დ
კარგად და შეამჩნევ ნახატს
მადლსა, რომელიც ისე
ნახავია.

ამავე საღამოს ალბერტო
ტუმრო ოთახში მარტოდ
ზას სურათ წინაშე და
აკვირდებოდა ნახატს.
ფერ თვალებში უმანკო, წ
ლი იხატებოდა; სახის-მეტ
აზრი და გონება ზედ დასჩნეოდ
ზედ უკრთოდა ღიმილი, სავს
წრფელობითა და კდემა-მოსილ
ამ სურათის ხელოვანს დამხ
თითონაც უნდა ჰქონოდა გულ
ნება, ალმა-ფრენით სულდგმულ
ხატვრო კალამი. ალბერტო ბ
ბითვე არტისტი იყო, ხელოვანი
ცი იყო და მალე მიხვდა, რა
დაუდებელ სურათ წინაც იდგა.

---

*) „ივერია" №№ 19 და 20.

ა აფრიკისას, მა-
იქნება ეს კულ-
მა ჯერ-ჯერობით

ა. ნა—ლი

მბავი

ლს დედათა გიმ-
ძი დანიშნული იყო
ებელ ქალთა დამხმა-
ადოებისა, მაგრამ რა-
ობა კანონიერი რი-
ომ კრება ორის

ასარგებლოდ
ართეს 30 იან-
ტრში. საზოგა-
ესწრო. ასე რომ,
ატიმ სამას მანათ-
ართვა თეატრის
ა თუმცა საკმაოდ
ალოტარიო ნივთე-
, მაგრამ მაინც კი-
რმოც თუმანზე მე-
ა შემოსავალიო.

შუადღიდამ დაიწ-
ვიმა, მთელი ღამე
ლა და გათენებისას
ა. ამის გამო ჩვენს
ოი ტალახებია.

ანვრის ბალიდამ,
ლი იყო ტფილი-
სკოლის ლა-
რგებლოდ,
ანათი. აქედ-

	მან. კაპ.
რელს და მიეცა. .	3—60
ეთებისა და ქაღალდის . . .	5—40
აფიშებისა, ბლანკების და ბილეთების დაბეჭდვა .	9—45
საზანდრებს.	10— »
ტფილისის «კრუჟოკს». .	39—30
მემუსიკეებს	56— »
«კავკაზს» და «ახალს მიმოხილვას» განცხადებისათვის	15— »
წვრილმანი ხარჯი. . .	13—60
სულ დახარჯულია . .	152—40

დარჩა წმინდა შემოსავალი 2,575 მ. და 40 კ. (ამ ფულში ნაანგარიშევია ათასი მანეთი, რომელიც შემოსწირა თავადმა ივანე სულხანის ძემ ჭავჭავაძემ).

ტფილისის თავად-აზნაურობის სკოლის კომიტეტი მოვალედა ჰრაცხს თავსა, განუცხადოს თავისის და თავად-აზნაურობის მხრივ უგულითადესი მადლობა ბალის გამგებელს, კნეინა ანნა ალექსანდრეს ასულს ამილახვრისას, მისის შრომისა და ღვაწლისათვის ამ ბალის გამო, თავადს ივანე სულხანის ძეს ჭავჭავაძეს ამ გვარ არა-მცირე შემოწირულობისათვის და სხვათა, რომელთაც აღმოუჩინეს შემწეობა კეთილს საქმესა.

⁂ ტფილისის სამხედრო შტაბს დაუთვალიერებია ცეცხლის მქრობელთა რაზმი და მოსწონებია იმისი მდგომარეობა და ყოფა.

⁂ მთავარ-მმართებლის სასახლეში გამოფენაა გამართული ზოგიერთ აქაურისა და სხვათა მხატვართა ნახატის სურათებისა. ხალხი ბლომად დაიარება და ათვალიერებს გამოფენას სურათებისას, რომელთა შორის ზოგიერთი მეტად კარგები ურევია.

⁂ კვირას, 31 იანვარს, სამუსიკო და სალიტერატურო დილა იყო პირველს კლასიკურს გიმნაზიაში. როგორც დამსწრენი ამბობენო, გვაუწყებს გაზ. «კავკაზი», შეგირდებში თუ კითხვითა და თუ გალობით ან მუსიკის დაკვრით თავი გამოიჩინეს კოვალენსკიმ, ოპოჩინინმა, კარნოვიჩმა, ვიდინოვმა, გროსმანმა და გლოკემ. როგორც ჰხედავთ, ამ გვარებ შორის არც ერთი გვარი ქართველისა არ ურევია.

⁂ «Нов. Время» ამბობს: კავკასიის მთავარ-მმართებელი თ. დონდუკოვ-კორსაკოვი სთხოვს სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს, რომ ამიერ-კავკასიაში გაჰმართოს რამდენიმე სკოლა, რომელიც მევენახობას და ღვინის დაყენებას უნდა ასწავლიდეს მოზარდს თაობასაო.

⁂ შარშან 1887 წლის განმავლობაში ბათუმის ნავთ-სადგურში შესულა სულ 5,173 გემი, გასულა 5,145. საქონელი მოუტანიათ საზღვარ გარეთიდამ 4½ მილიონის მანათისა. 1886 წელს-კი მხოლოდ 2½ მილიონის საქონელი შემოსულიყო. ხოლო გაუტანიათ საქონელი 15.769,583 მანათისა, თითქმის მილიონ ნახევარ მანათისაზე უფრო მეტი, ვიდრე 1886 წელს (გაზ. «ნოვ. ობოზრ.»).

⁂ იგივე გაზეთი ამბობს, რომ ტფილისში ამხანაგობის შედგენას აპირობენ და უნდათ ახალი ქარხანა გაჰმართონ წუმწუმისა ანუ სპიჩკის საკეთებლადაო. ჯერ-ჯერობით ამ საქმისათვის ტყეს ეძებენ გორის მაზრაშიო.

⁂ პოლიციის მე-7 ნაწილში ვ. ე. უპოვნია ვერცხლის საათი, რომელსაც ზედ მე-189644 №-რი აწერია. დამკარგველს შეუ- [illegible] მგეობაში, თუ აშკარა საბუთებს წარადგენს, რომ იმას ეკუთვნის.

⁂ 2 თებერვლის ღამეს 1 ნაწილში ქვრივის მარიამ მეყანკულოვის სადგომიდგან მოუპარავთ სხვა-და-სხვა ნივთები 50 მანათისა. ერთი ქურდთაგანი—სპარსეთის ქვეშევრდომი მამედ-უსეინ-ოღლი დაჭერილ იქმნა ქურდობის დროსვე და ზოგიერთი ნაპარავი ნივთებიც ზედ აღმოაჩნდა.

⁂ ამას წინად ქ. თელავში გაჰქურდეს ორი დუქანი და ერთი სადგომი, რომელიც ეკუთვნოდა თელავის მოქალაქეთ მელქო და გრიგოლ მენთუქოვებსა, ანნა აფრიკოვსა და დარჩო ნავასართოვსა. პოლიციის მე-5 ნაწილის ბოქაულის თანაშემწის, ბ-ნ სვ-მონოვის მიერ გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ზემოხსენებულის საქმის ჩამდენნი ყოფილან თელავის მოქალაქენი ნიკოლოოზ პოპუდნაშვილი, არტემ თავდიდიშვილი, დავით დურგლიშვილი და სიღნაღის მოქალაქე ნიკოლოოზ ოჰანეზოვი. დაკარგულს ნივთებში 2 ნაჭერი ლასტიკისა, 10 ნაჭერი ლევურის შალისა, ერთი დიდი ხალიჩა და 10 გირვანქამდე გრეხილი და მოსავლები სვიმონოვს უპოვნია ქ. ტფილისის სხვა-და-სხვა ნაწილებში. თელავიდგან ეს ნაპოვნი ნივთები ტფილისში ჩამოუტანია ბრალდებულთა ერთს ამხანაგთაგანს, გიორგი ბაბოვს, რომელიც ამ ჟამად სხვებთან ერთად დაპატიმრებულია.

<>

ავჭალის წყარო, თუ მტკვრის წყალი?

კრება კავკას. სამედიც. საზოგადოებისა

1 თებერვალს.

მას აქეთ, რაც ქალაქში მილის წყალი გამოიყვანეს, სულ იმაზეა ლაპარაკი, რომ ავჭალის წყაროები მოჰყავთ და ეს წყაროები მაწყინარი წყალიაო. ამის გამო ამ მილის წყლის სმას ერიდება ხალხი და, რასაკვირველია, ქალაქს, რომელმაც ამოდენა ხარჯი გასწია, დიდი ზარალი აქვს. ისე შეშინებულია ხალხი ამ ავჭალის წყლისაგან, რომ მაინც კიდევ მტკვრის წყალსა რჩეობს და ეტანება, თუმცა [illegible] ილებენ, აუარებელის უწმინდურობით არის სავსე და არ შეიძლება მავნებელი არ იყოს ჯან-მრთელობისათვის. თითონ ქალაქი ისე დაქანებულია ორისავე მხრით მტკვრისაკენ, რომ ყოველი უწმინდურება მთელის ქალაქისა შიგ ჩადის და მეცნიერთაგანაც დამტკიცებულია, რომ ამ ნაპირებიდამ ამოღებული წყალი დიდად მავნებელია აგებულებისათვის.

ახლა, რაკი შესაძლოა ქალაქმა მალით წამოიღოს მტკვრის წყალი ავჭალიდამ, სადაც ამ წყალს უწმინდურება არა ერევა-რა, და ავჭალის წყაროს წყალიცა, ამიტომ ასტყდა ლაპარაკი, რომელის წყლის წამოყვანა უფრო ემჯობინება ქალაქისათვისაო, მტკვრის წყალისა თუ ავჭალის წყაროებისაო.

ამ საქმეში უტყუარი და სანდო განაჩენი ვის შეეძლო დაედგინა, თ არ მეცნიერთა კრებას. აი ამ წინად ამისთანა კრებამ ამოირჩია რა მდენიმე მკურნალი, ქიმიკოსი და სხ ამ საქმის მცოდნენი და დაავალ გამოიძიეთ ეს საქმე დაწვრილებით, საბუთები შეაგროვეთ და თქვენი აზრიც გვაცნობეთო. კომისიამ თავისი მოვალეობა შეასრულა, 1 თებერვალს სამედიცინო საზოგადოების დარბაზში მოხდა კრება და ამ კრებას კომისიამ წარუდგინა თავისი მოხსენება.

კომისიაში ყოფილიყვნენ არჩეულნი: ოტტო, შტაკმანი, ბაბაევი, კარტაშევიჩი, რეიხი, გოლბეკი და ხუდადოვი. მოხსენება კომისიისა წაიკითხა ბ-ნმა რეიხმა. თითქმის ორს საათზედ მეტს ხანს გასტანა კითხვამ. მოხსენება ვრცლად და დაწვრილებით იყო შედგენილი. რაც-კი რამ თქმულა ავჭალისა და მტკვრის წყალზე ამ ხუთისა და ექვსის წლის განმავლობაში, რაც-კი რამ გამოკვლეულა მეცნიერთაგან, თითქმის ყოველივე ამ მოხსენებაში იყო თავ-მოკრებილი და მოთავსებული.

აი მოკლედ შინაარსი ამ მოხსენ ბისა:

სოფელი ავჭალა ტფილისიდამ რვა ვერსტზეა ჩრდილოეთით. მდებარეობს

ნს უცქეროდა სურათს,
უფრო მეტად ცხო-
ჰკვდარი ტილო, რო-
დახატული ლიზას
ცისკარივით უბრწ-
ლი უფრო მეტად
ჰხიბლავდა ადამიანს.
ის იყო, როს ეს თვა-
მა-მოსილი ღიმილი უფ-
ნი იყო, უფრო მეტს
ლუთქვამდა ადამიანს,
ი ხორც-შესხმულის ლი-
ერი თვალები და ვარდის-
ბი! ალბერტო ჰფიქრობდა,
რაც მინახავს თითქო ასეთი
, მოჯადოებული, მომხიბ-
სახის-მეტყველებაო... მაგრამ
აო?
ერებაა, მშვენიერებაა!—
ა და აღტაცებით წარ-
ბერტომ,—უკვდავი ქმნი-

მოესმა ტანისამოსის
ოტრიალდა. კარებში
ლინა. მუდამ ფერ-მკრთალს
ოდნავ გადაჰკროდა სი-
შუბლზე კუნაპეტივით შავი
თმები გადმოჰფენოდა და
ი ცეცხლივით უბრწყინავდა;
დ უთამაშებდა ღიმილი თავ-
ბისა, მაგრამ თან სავსე მარი-
ბითა. დიაბოლინა იდგა შა-
ლებილ კარებთან და ამ შავს
მხიარულის ფერის კაბა უფ-
ტად უხდებოდა. ალბერტომ
ა ეს ლამაზი ქალი და ის იყო
მ შეჰყვირა უნებურად, აი ვინ

არის ამ სურათზე გადახატულიო, მაგრამ მალე ტუჩებზედ იკბინა და გულში დაიმარხა თავისი გაკვირვება. ეხლა მიჰხვდა ალბერტო, სადა ჰნახა ის სახის-მეტყველება, რომელმაც ეგრე გააოცა, როცა სურათს უყურებდა. ალბერტომ წინ გადადგა ფეხი დიაბოლინასაკენ; უნდოდა იმისთვისაც გაეზიარებინა ის აღტაცება, რომელმაც ასე შეიპყრო. მაგრამ დიაბოლინა უეცრად გამოიცვალა ამ დროს, სახემ მჭახე მეტყველება მიიღო, მარილიანი ღიმილი გაუქრა და იმის ბაგეს დაცინვა-ღა დაეტყო, სიტყვა-პასუხი მოურიდებელი და კადნიერი შეექნა.

— მაგ ლამაზის ქალის სურათს უყურებდით და სტკბებოდით და მე-კი მგონია დაგიშალეთ, — უთხრა დიაბოლინამ ალბერტოს და სურათზედ ანიშნა.—გთხოვთ მომიტევოთ.

სთქვა ესა, მარდად გაიარა ოთახი და გავიდა მეორე კარებიდამ ისე, რომ ზედაც აღარ შეუხედნია სტუმარისათვის.

ალბერტოს ეგონა, რომ თავიდამ ფეხებამდე ცივი წყალი გადმავლესო. ათასში ერთხელ შეხვდებოდა ხოლმე დიაბოლინას და მაშინაც ეს ქალი მკვახედ და გულ-გრილად ექცეოდა. ეხლა ლაპარაკის კილოზე, დაცინვით სავსე ღიმილსა და სახის გამომეტყველებაზე სიძულილიც-კი შეატყო. ალბერტო გულის-წყრომით აივსო.

— ვხედავ, მეყურება,—გაიფიქრა გულში ალბერტომ:—ამ თავ-მომწონე, დიდ-გულა ქალს ჰშურს, რომ იმისი ბიძაშვილი ასე ლამაზია, მდიდარია, ბედს მოწეულია. მოტრიალდა და კვლავ ლიზას სურათს დაუწყო ცქერა.

— ღვთის-წინაშე, უნდა ჰშურდეს-კი! კვლავ გაიელო გულში ალბერტომ.—განა ეს სილამაზე საშურველი არ არის თუ?

— როგორ! განა თქვენ მარტო ბრძანდებით აქა?—მოისმა ალბერტოს ახლო აღელვებული ხმა ქალისა და დარბაზში შემოვიდა ლიზა, რომელიც ბაღში ყოფილიყო.

ამის მეტად ლიზასა და ალბერტოს მარტოდ-მარტო არც ერთხელ არ ენახათ ერთმანერთი. ყმაწვილი ქალი შეკრთა, გული აუძგერდა და თან რაღაც იმედიც მიეცა, თითქო წინ-და-წინვე იგრძნო, რომ დღევანდელს ჩვენს ლაპარაკს დიდი მნიშვნელობა ექმნება ჩემთვისაო.

— არა, ბატონო, მე მარტო არ გახლავართ,—ტკბილად უპასუხა ალბერტომ.—აბა შეხედეთ, ვინა ბრძანდება ჩემთან.

ალბერტომ სურათი ანიშნა.

— ჩემი სურათი!—გაიკვირვა ლიზამ. არა მგონია, რომ გაცხარებული საუბარი გქონოდეთ თქვენ და მაგას.

ლიზამ მხიარულად გადიკისკისა, გეგონებოდათ, ზარი წკრიალებსო.

— გარწმუნებთ, რომ თქვენი სურათი ძალიან კეთილად მომექცა. დიდის სიამოვნებითა და მხიარულის ღიმილით მოისმინა ყოველივე, რის თქმაც თქვენ ვერ გაგიბედეთ; ვერ გაგიბედეთ იმიტომ-რომ თქვენის წყენისა მეფიქრებოდა. ლიზა უფრო გაწითლდა. ხელში ცისფერის სარტყლის ბოლოები ეჭირა და იმას აცოდვილებდა. მორცხვობამ უფრო დაამშვენა ლიზა.

— თუ სურათს ეუბნებოდით ისეთს რასმე, რის გაგონებაც შესაძლებელია, თვით იმისმა დედანმა-კი რატომ არ უნდა მოისმინოს?

ალბერტო პატარა ხანს შეტოკდა, ჰო-არაობაში ჩავარდა. მოაგონდა თავისი თავისუფლება, ოცნებანი და იმის ფიქრში იყო, რომ მახეში არ გავებაო; სჯობს ცარიელი სასიამოვნო რამ სიტყვა ვუთხრა და პირით მოვიშორო თავიდამ ყმაწვილი ქალიო. ლიზას თითქო გაუკვირდა, რად გაჩუმდა ეს კაციო და სწორედ ამ დროს შეანათა ალბერტოს თავისი შუქ-მფენი თვალები. თვალებზედ ეტყობოდა, რომ ლიზა რაღასაც ელოდდა, თითქო იხვეწება და ევედრებაო. ალბერტოს ისიც-კი მოეჩვენა, რომ ლიზას სწორედ გაგიჟებითა ვუყვარებივარო. ყმაწვილს კაცს გული მოეცა და გაბედვით უთხრა ლიზას:

— დიაღ, ის რაც მინდა მოგახსენოთ, შეიძლება მოისმინოს ადამიანმა. ჩემი სიტყვა პატიოსანის კაცის სიტყვაა, იმ კაცისა, რომელსაც აღარ ძალ-უძს გულ-გრილად უცქიროს თქვენს სილამაზეს და მშვენიერებას. ნება მიბოძეთ მივმართო სინიორ პასკვალეს და შევევედრო, რომ მე მაღირსოს და თავისი საუნჯე მე მაკუთვნოს.

ახლა-კი სახე ეწოდა ლიზას ანთებით. სიხარულმა უფრო დაამშვენა და გაალამაზა. გულ-მკერდი მეტის-მეტად უთრთოდა, თვალები წყლით აევსო, ნეტარების ღიმილმა პირი-სახე დაუმშვენა!

— სინიორ ალბერტო—სთქვა ლიზამ და გაუწოდა ათრთოლებული ხელი,—მამაჩემს მოელაპარაკეთ. არა მგონია, რომ უარი გითხრათ, ხოლო მე... მე სიხარულით დაემორჩილები იმის სიტყვას.

ალბერტომ სასწრაფოდ ჩამოართვა ხელი და ზედ დაეკონა. ერთს წუთს უკან ლიზამ გაინთავისუფლა ხელი და ბედნიერის სახით გაცქრიალდა ოთახიდამ. ლიზას აუსრულდა ის, რაც გულითა და სულითა სწადდა. ისე იყო გახარებული, რომ სიხარულის ნამეტანობისათვის უთუოდ გზა უნდა მიეცა. და აი ლიზამ იპოვა ტილდა და გულის ფანცქალით უამბო საჩქაროდ ყოველივე. ტილდამ ვერც-კი მოასწრო, რომ მიელოცნა ბედნიერება. ლიზა გაიქცა ახლა მამიდას საძებნელად. სინიორა ვერონიკამ მოინდომა, რასაკვირველია, თითონაც დასწრებოდა, როცა ალბერტო და იმისი ძმა მოილაპარაკებდნენ. მოლაპარაკების დროს, რაღა თქმა უნდა, თავის ძმის მაგიე ველივე თავად გადასწყვიტა დ მოხუცებული ძმა-კი მხოლოდ აკანტურებდა თანხმობის ნიშ

გრ.

(შემდეგი იქნება)

მტკვრის მარცხნივ. ადგილი ვაკე მთაგორიანია. სიმაღლე ამ ვაკე მთა-გორას 500 მეტრი აქვს. სოფლის გვერდზე დიდი დახრამული, მშრალი ხევია და 12 ვერსტი სიგრძე აქვს. ზოგი წყარო ამ ხევში გამოდის, ზოგი ზედ მტკვრის პირას. ყველა ამ წყაროებს, ორიოდ-სამიოდეს გარდა, ერთად მოუყარა თავი ქალაქმა დიდს აუზში, რომელსაც ერთი კედელი მტკვრისკენა აქვს გავლებული. ამ აუზიდამ დღე და ღამეში 600,000 თუნგის წყლის ხარჯვა შეიძლება.

ამ წყაროების წყალი გასინჯეს ქიმიურად ოტტომ და შტაკმანმა. ქალაქმა გაუგზავნა გასასინჯად იგივე წყალი საზღვარ-გარეთ, პროფესორს შმიდტს. ამას გარდა ქალაქში გამოყვანილი წყალი ცამეტ ალაგას გასინჯეს და გამოიკვლიეს ქიმიურად, ავჭალიდამ დაწყებული მნაცაკანოვის ხიდამდე. 13 ალაგასვე ამოიღეს ამავე მანძილზე მტკვრის წყალი და გასინჯეს ქიმიურადვე. ყველა ამ გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ავჭალის წყაროების წყალი კარგი წყალია სასმელად და სახმარებლად, არ ეჭირება არავითარი წმენდა, გემრიელია და უწყინარი. მტკვრის წყალიც კარგია და მარგებელი, მხოლოდ თვით ტფილისში-კი არა, მინამ ტფილისში ჩამოვა და მინამ შიგ არავითარი უწმინდურება, ნაგავი და უსუფთაო არაჩადის-რა. მტკვრის წყალის წუნი ის არის მხოლოდ, რომ ხან-და-ხან მღვრიევა და, მაშასადამე, წმენდა მოუნდება. წმენდა-კი დიდს ხარჯს ითხოვს და არც ვარგა, რადგან საწმენდი მაშინა მალ-მალე ჭუჭყს იკიდებს და წყალსაც აფუჭებს. ყორღანოვის მილის წყალი იწმინდება, მაგრამ სრულიად არ ვარგა და მავნებელია, რადგან თვით ტფილისშია ამოღებული უკვე გაუწმინდურებულის მტკვრიდამ. მართალია, ზოგიერთი მინერალები ურევია ავჭალის წყაროს წყალში, მაგრამ მაგითი ამ წყალს მაინც წუნი არ დაედება. თვით მეცნიერება საზღვარს ვერ უდებს ზომას და გადაჭრით ვერ ამბობს, თუ ას წილში რამდენი წილი მინერალია შესაწყნარებელი წყალის უწყინარობისათვის. ავჭალის წყალში ისეთი დიდი წილი არა აქვთ მინერალებს, რომ იმათ გამო გადაჭრით ითქვას, რაკი ესეა, წყალიც აღარ ვარგა სასმელადაო. ავჭალის წყალში ზოგი ნივთიერება ნაკლები ურევია, ვიდრე მეცნიერებაშია ნათქვამი წყალის უწყინარობისათვის, ზოგი-კი მომეტებულია, მაგრამ ეს ნამეტნაობა იქამდე არ არის მისული, რომ წყალი მაწყინარად იყოს უეჭველად ცნობილი. ავჭალის წყაროებს იმ აუზში, რომლიდამაც წყალი მოდის მილებით ტფილისში, შარშან 27 ნოემბრიდამ მტკვრის წყალიც შერია, თუმცა არ ვიცით-კი, რა არის მიზეზიო. და ამ გვარად დღეს ტფილისში გამოყვანილს წყალში ნახევარზედ მეტი მტკვრის წყალია. საჭიროა ტფილისში მოგვყავდეს მხოლოდ წყაროს წყალი და საწმენდის ფილტრების ხმარება არ გვჭირდებოდესო. მოხსენების მკითხველმა სთქვა, რომ აი ყველა ამაზე ხელი გვიწერია კომისიის წევრებისაო, მხოლოდ ერთი ბატონი ხუდადოვი არ დაგვეთანხმა და გამოაცხადა, რომ ჩემს დასაბუთებულს აზრს თვით კრებაზე წარმოვადგენო.

საღამოს ათი საათი იქმნებოდა, როცა კათედრაზე ავიდა წევრი კომისიისა, ბ-ნი ხუდადოვი, თავის ცალკე აზრის განსამარტებლად. ბ-ნმა ხუდადოვმა სთქვა, რომ მტკვრის წყალი სჯობია სახმარებლად და სასმელად ავჭალის წყაროების წყალსაო. სჯობიან იმიტომ, რომ ამ წყალში ნაკლებია ის მავნებელი ნივთიერებანი, რომელნიც უხვად ურევია წყაროს წყალსაო. სხვათა შორის, ამიაკი, მაგალითად, სრულიად არ ურევია მტკვრის წყალშიო. ტყუილად ამბობს კომისია, ვითომ დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმ მეცნიერთა აზრს, რომელნიც იკვლევდნენ, რომ თუ ამა და ამ წყალში ამდენსა და ამდენზე მეტი სხვა-და-სხვა მავნებელი ნივთიერებანი ურევია, ის წყალი აღარ ვარგა სასმელად და სახმარებლადაო. ამ აზრს მეცნიერთა სრულიად ისეთი მცირე მნიშვნელობა არა აქვს, როგორც ჰფიქრობენ კომისიის წევრნი. იმის გარდა, რომ მინერალები ბევრი ურევია ავჭალის წყაროს წყალში, ამ წყალს ძრიელ ეტყობა, რომ მკვრივი, მძე-წყალია (**жесткость**). მტკვრის წყალი-კი მთის წყალია, მდინარე წყალია, მთა-გორიან ადგილებში მომდინარეობს, ორის მთის წყალი ერთვის, არაგვი და ლიახვი. რაც მანძილზე მომდინარეობს, არსად ტფილისამდე ისეთი დიდი ქალაქი არა მდებარეობს-რა იმის ნაპირზედ, რომ მათმა უწმინდურებამ და უსუფთაობამ გაუფუჭოს მტკვარს წყალი. ამას გარდა ერთი დიდი წუნი ის არის ავჭალის წყაროებისა, რომ ცოტაა და ქალაქს, რომელშიაც 100,000 მეტი მკვიდრია, ვერ ეყოფა. დღესა და ღამეში შეიძლება ავჭალის წყაროდამ დაიხარჯოს მხოლოდ 600,000 თუნგი. მაშასადამე, თითოეულს მკვიდრზე 6 თუნგი მოვა მხოლოდ, თუ ვინიცობაა მთელმა ქალაქმა დაიწყო მილის წყლის ხარჯვა. 6 თუნგი-კი დღე და ღამეში თითოეულს მცხოვრებელზე ძალიან ცოტაა. ევროპაში და თვით რუსეთშიაც, საცა მილის წყალია გაყვანილი, თითოეულ მცხოვრებელზე მოდის ზოგან 18, ზოგან 24 და ზოგან 36 თუნგი დღე და ღამეში. ჰიგიენით* დამტკიცებულია, რომ კაცის თავზე 24 და 30 თუნგი წყალი მაინც უნდა იყოს გადადებულიო.

ამითი გათავდა ბ-ნ ხუდადოვის ცალკე მოხსენება. საზოგადოებამ შექმნა ჩოჩქოლი და აქა-იქ არა საერთო ლაპარაკი, მაგრამ საფუძვლიანი ბაასი-კი არ ჩამოვარდნილა. სამედიცინო საზოგადოება-კი მაინც მოწადინებული იყო, ერთი რამ საერთო აზრი დაესკვნა და კერძო, დაწვრილებულ გამოძიებასა და კამათობას შემდეგს კრებაზედ შესდგომოდა. საერთო აზრი, თუმცა გადაჭრით არა გამოითქვა-რა, მაგრამ მაინც ცხადი იყო, რომ ამჯობინებდნენ დღევანდელს მილის წყაროს წყალს, რომელიც ცივიც არის ზაფხულში და ბუნებითვე წმინდაც, დაფარულიცა და დაცულიც ყოველ გვარ უწმინდურებისაგან, მოშორებულია ყოველ გვარ ბაქტერიებსა და მიკრო-ორგანიზმებს, არავითარი ვნება არ შეუძლიან, რომ ეს წყალი უწყინარიც არის, გემრიელიც, ფრიად წმინდაც. ბ-ნ ხუდადოვის საწინააღმდეგო აზრების სამეცნიეროდ განხილვა და განსჯა საზოგადოებამ შემდეგისათვის გადასდო, იმ დროისათვის, როცა კომისიის მოხსენებაცა და ბ-ნ ხუდადოვის ცალკე აზრის განმარტებაც უკვე დაბეჭდილი იქნება და დაურიგდება საზოგადოების წევრთა თითქმის 11 საათი იყო სრული, როცა დაიშალა კრება, რომელზედაც დაესწრნენ ტფილისის საბჭოს ხმოსანნიც, გამგეობის წევრნიც და მრავალნი სხვანიცა.

◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ქუთაისი, 1 თებერვალი. უკვე მოგეხსენებათ, რომ ბ-ნმა ასათიანმა, ძველმა თავმა, მიიღო 18 კენჭი თეთრი და 16 შავი. მისმა მოკამათემ ბ-ნმა ყაითმაზოვმა — 18 თეთრი და 17 შავი. როგორც ამბობენ ბოროტი ენები, ამის მიზეზი ის არის, რომ თვით ყაითმაზოვს არა ჰქონია კენჭი, თორემ სულ ბარ-და-ბარ გამოვიდოდნენო. ბოროტი ენები ბევრს რასმე ცუდს ამბობენ. თუმცა ზოგჯერ მართალს ლაპარაკობენ, მაგრამ ჩვენ-კი თავი დავანებოთ იმათ. ყოველ შემთხვევაში ჩვენ დაგვრჩა ძველი თავი; სასიხარულოა ეს თუ სამწუხარო, ჩვენ უნდა მოვურიგდეთ ამ გარემოებას, მით უმეტეს, რომ ამორჩევის შემდეგ ბ-ნმა ასათიანმა წარმოსთქვა მადლობის სიტყვა, მოიხსენია, — არა არს უნაკლულო ადამიანი დედამიწის ზურგზედაო, მაგრამ თან დაგვაიმედა: შემდგომისათვის ყოველ ღონის-ძიებას ვიხმარ, რომ რაც შეიძლება ერთგულად და ბეჯითად ვემსახურო ქალაქსაო. მოგეხსენებათ, იმედიც კარგი საქონელია და ვისურვებთ, რომ ბ-ნმა ასათიანმა თავის სიტყვა გაამართლოს.

ქალაქის თავის ამორჩევა ისე არ გაგვიჭირებია, როგორც გამგეობის წევრისა. ეხლა უნდა გამოსულიყო ერთი წევრი გამგეობისა, ბ-ნი ივ. მესხი. ამ წევრობის ადგილმა ბევრს აუშალა საღერღელი. ბ-ნს მესხს, როგორც მთელს ძველს გამგეობას, ბევრი მომდურავი ჰყავდა და ყველას საეჭვოდ მიაჩნდა იმისი დარჩენა ძველს ადგილზე. ამიტომაც თავი გამოჰყვეს კანდიდატებმა, რომლებიც სხვა დროს ვერც-კი გაჰბედავდნენ ხმის ამოღებასა. გუშინ, კვირა დღეს, უყარეს კენჭი ივ. მესხს; 12 თეთრი ამოუვიდა და 24 შავი. ბ-ნ მესხის გარდა კანდიდატებად იყვნენ დასახელებულნი ბბ. მიქიაშვილი, მ. ნიკოლაძე, გ. აკოფაშვილი, კას. აკოფაშვილი და ი. ჭილაძე. მიქიაშვილს ამოუვიდა 10 თეთრი და 26 შავი. ამის გაშავება ბევრს არ ეწყინა, ამბობდნენ, — მაშ ყველა ოინები გამგეობისა და გახათლებულ ხმოსნების წინააღმდეგ ეს იყო, რომ როგორმე გაეკაფნა თავისათვის გზაო? — დანარჩენმა კანდიდატებმა უარი განაცხადეს. წევრის ამორჩევა გადასდეს სახვალიოდ. ახალ კანდიდატად ასახელებენ მ. ქუთათელაძეს, მაგრამ არ ვიცით დასთანხმდება თუ არა, რომ წევრობაზე კენჭი იყაროს, რადგანაც კარგი ადგილი უჭირავს: ეხლა დირექტორად არის საურთიერთო ნდობის ბანკში და ეძლევა ჯამაგირი 1,500 მანეთი. წევრად თუ ამოირჩიეს და დასთანხმდა, უნდა დასჯერდეს 1,200 მანეთსა. არ ვიცით, დასთმობს თუ არა ბ-ნი ქუთათელაძე ბანკის დირექტორობასა?

კარგარეთელი

◆

სასამართლოს მატიანე

(მოსამართლეთა ბჭობა 1 თებერვალს)

ამ ჩვენს დედა-ქალაქში ეხლაც საკმაოდ თავს იჩენს ხოლმე სხვა-და-სხვა გვარი ბოროტ-მოქმედება, ავაზაკობა, მეტად ხშირად მოხდება ხოლმე სულის და გულის აღმაშფოთებელი, შემაძრწუნებელი ავ-კაცობა, მაგრამ ევროპიელმა გარეგანმა განათლებამ ამ უკანასკნელ ხანებში თავისი გავლენა იქონია ავ-კაცობისა და ბოროტ-მოქმედების თვისებაზედაც. პირველად ეს, რომ ბევრმა ახალმა ბოროტ-მოქმედებამ იჩინა თავი, ბევრი ისეთი ავ-კაცობა გაჩნდა, რომელიც წინად არ იყო; მეორედ — ძველ დროინდელს დანაშაულობას, ბოროტ-მოქმედებას ცოტად მაინც ფერი ეცვალა, განათლების გავლენა დაეტყო... ავაზაკობას, მართალია, ისევ შერჩა უწყალო და თავ-ხედური თვისება, მაგრამ იგი ავაზაკობა მოლბილდა, შალაშინი წასვა, დახურდავდა, გაფაქიზდა. მაგალითებრ, ცარცვას, ქურდობას რაღი-და ეტყობა ძველებური ვაჟკაცური ბარაქალობა, სილაღე და სითამამე.

**

სწორედ ამ მხრივ იყო შესანიშნავი ორი საქმე: გაცარცვა და ქურდობა, რომელიც პირველ თებერვალს გაბჩეს მოსამართლეებმა ტფილისის ოლქის სასამართლოში. გაცარცვა ჰბრალდებოდათ ტფილელ სომხებს, სვიმონ ოჯანეზოვს და ავეტიქ ავეტისოვს. ერთიც და მეორეც თვალად და ტანად სწორედ ფალავნები იყვნენ. პირველ დანახვაზე კიდეც იფიქრებდით, რომ ესენი «დიაცურს» საქმეს არ ჩაიდენენო... საქმის გარჩევამ სულ სხვა დაგვანახვა. ამ ორს ახალ ყმაწვილს გმირს, ს. ოჯანეზოვს და ა. ავეტისოვს, 1883 წ. ხელში ჩაუგდიათ ქალაქში მცხოვრებელი, სპარსეთის ქვეშევრდომი კართან ნაზარბეგოვი, რომლისათვისაც შეუგულებიათ სამიოდე თუმანი ფული და ვერცხლის ქამარი. კართან ნაზარბეგოვი შუა ხანს გადასული კაცია და ტანით ცოტად დიდია ქონდრის კაცზედ. აი ეს მუქთი მსხვერპლი გაეცარცვათ ორს ახმახს ვაჟკაცს... ისიც როგორ?! ჯერ დუქანში ღვინით გამოუთრობთ, მერე ქალაქის პირად, თოფხანასკენ (არსენალი) გაუტყუებიათ და იქ ერთს მათგანს თავში დაუკრავს საბრალო ნაზარბეგოვისათვის, წაქცევია მიწაზედ, მეორე თავს დასწოლოდა და ჯიბიდამ ფული ამოეცალა, წელიდამ ქამარი შემოეხსნა!.. ნაცარცვი რომ ხელთ ეგდოთ, ისე გამოქცეულიყვნენ, თითქო თოფხანის ზარბაზნები იმათ დაუმიზნესო!... სასამართლომ ორსავე დამნაშავეს გადუწყვიტა ციხეში დაჭერა ორის წლის და ოთხის თვის ვადით. ბრალდებულებმა თავ-ჩაღუნული მოისმინეს განაჩენი, თითქო თითონაც სცხვენოდათ.

**

ქურდობა ჰბრალდებოდა ივანე ზარიძეს, ტფილისში მცხოვრებელს «ლოთიანს» ბიჭს, რომელიც დახლიდრად სდგომია დუქანში ტერ-ნიკოლოსოვს. ი. ზარიძე ერთხელ ყინწზედ მოსულა და ქეიფი მოსდომებია, მაგრამ, სავალალოდ, საქეიფო საფანელი-კი შემოჰკლებია: ფული არა ჰქონია! ქალაქელი «ლოთიანი» დარდიმანდი ხომ უფულობას არას დაგიდევს, ოღონდ-კი ქეიფის ყინძა მოუაროს. ზარიძეც ასე მოქცეულა. ღამე ამდგარა, გაუტეხნია თავის აღის დახლი, ამოუღია ორი ვერცხლის საათი, რამდენიმე მანათი ფული, — წასულა, სალოთავად «მამა-ბიჭებთან» და არ გამოფხიზლნია, სანამდე ნაქურდალი სულ არ მიუფუშნეტია... ზარიძეს ერთის წლით ციხეში დატუსაღება მიუსაჯეს მოსამართლეებმა.

**

აზანბურელს მალაკანს, მამასახლისად ყოფილს პანფილ სამოდუროვს ჰბრალდებოდა ისეთი ბოროტ-მოქმედება, რომელსაც ქართველი მამასახლისებიც არას თაკილობენ ხოლმე. მოგეხსენებათ, რომ მამასახლისი სოფელში დიდი ვინმეა, ბობოლაა, ბატონია. თუმცა სოფლის თვით-მმართველობა მამასახლისს ასე არ უცქერის და სოფელს შეუძლიან ბოლო მოუღოს ამ ბობოლას და ბატონს, მაგრამ საქმით-კი სხვას ვხედავთ.

აზანბურში ერთი მალაკანი სცხოვრობს, ნ. შირინი, რომელსაც ვალი ჰმართებია ერთის ვიღაცა მუღანლოელის თათრისა. თათარს უჩივლია სოფლის სასამართლოში და აზანბურელ მსაჯულებს განაჩენი მიუციათ პანფილ სამოდუროვისათვის, თათრის ვალი გადაახდევინე შირინსაო. სამოდუროვი წამოსულა, შირინისათვის საქონელი აუწერია და, როგორც წესია, გასაყიდვის ვადა დაუნიშნავს კიდეც. ბოლოს, დანიშნულს ვადაზედ, ისე მოუხერხებია, რომ იაფ ფასად თითონ უყიდნია შირინის საქონელი და თათრისათვის-კი ფული მიუცია. ამაზედ შემდგარა საჩივარი. სამოდუროვი მამასახლისობიდგან გადაეყენებინა მთავრობას, მაგრამ სასამართლომ-კი დამნაშავედ არ იცნო და გაამართლა.

ახალმა წესმა მამასახლისებს დაავალა და ნება მისცა ვალის გადასახდევინებლად მოვალის ქონება გაჰყიდოს და ამ გზით ვალი აზღვევინოს. მაგრამ რა გამოდის? — ის გამოდის, რომ ჰყიდიან მოვალის ქონებას, ხოლო ისე ახერხებენ, რომ გასასყიდ ქონებას თითონვე ჰყიდულობენ ჩალის ფასად. აი სამოდუროვსაც ესა ჰბრალდებოდა. არც ქართველი მამასახლისები თაკილობენ, რომ საწყალ მეზობლის საქონელი ჩალის ფასად დაინარჩუნონ გასაყიდვის დროს. განა ცოტაა ჩვენში ამის მაგალითები... საჭიროა, რომ სოფელს თავისი უფლება და ღირსება ახსოვდეს, სასტიკად თვალყური ადევნოს თავის მოხელეებს, რომელნიც მთავრობისა და კანონის შეხედულობით მარტო სოფლის მოსამსახურეები არიან და არა ბატონები... იქნება ნ. შირინი ტყუილადაც უჩიოდა სამოდუროვს, იქნება სამოდუროვს შესაწყნარებელი და კანონიერი საბუთიც მოეპოვებოდა, მაგრამ საქმე აქ ისაა, რომ შირინმა, თავის მხრით, უსამართლოდ, უკანონოდ იცნო მამასახლისის მოქმედება, თავი გამოიდო და საჩივარი გაუმართა. ამ გვარი საქციელი საქებარია, იმიტომ-რომ სოფლის მოხელეების თავ-გასულობას და ბატონობას ჰლაგმავს, სოფელსაც აფხიზლებს და იმის მტერ-მოყვარეებსაც.

**

მამა-შვილობა და დედა-შვილობა მეტად წმინდა რამ არის, მეტად პატივ-საცემელი და სათაყვანებელი ურთი-ერთობაა მშობელსა და შობილს შორის, მაგრამ ეს ურთიერთობა, ოჯახისა და კაცის საბედნიეროდ, დასატკბობლად მოვლენილი, ხშირად უბედურებად და ბალღამად იქცევა ხოლმე. რასაკვირველია, აქ ორში ერთი უნდა იყოს დამნაშავე, ან მშობელი, ან შობილი, მაგრამ თითონ ეს კავშირი ისეთი საღმრთო რამ არის, რომ ადამიანს ეძნელება, ემძიმება გარჩევაში შევიდეს, ვინ არის აქ მართალი და ვინ მტყუანი. ამისათვის კანონი ამისთანა საქმეებს თითონ ეკრძალება და ვიდრე თითონ ჩადგება შუაში და თავის უტყუარს განაჩენს დაადგენს, მოვალედა ჰხდის მოსამართლეს, ყოველი ღონის-ძიება იხმაროს, რომ მოარიგოს და მშვიდობა ჩამოაგდოს მამა-შვილობასა თუ დედა-შვილობაში. ერთი ამ ნაირი საქმეც გაირჩა 1-ს თებერვალს ოლქის სასამართლოში. გერმანელი ფრიდრის შეიფელერი უჩიოდა თავის დავაჟკაცებულს შვილს, არნოლდს, — ცუდად მეპყრობაო, მლანძღავს, მაგინებს და ხელის ხლებითაც-კი გამიუპატიურებს ხოლმეო. ამა-

სთანა ამბავი განათლებულ გერმანელთ რომ არ შემთხვევოდათ, ჩვენ ბევრს არას გავიკვირვებდით, იმიტომ-რომ გაუნათლებლობის სიბრიყვე ზოგჯერ არ იცის პატივი იმისთანა წმინდა ურთიერთობისა, როგორიც მამა-შვილობა და დედა-შვილობაა, ხოლო შეიძლერის საქმეში განათლებამ ისევ თავი იჩინა. როცა თავმჯდომარემ კანონისამებრ შერიგება ურჩია მამა-შვილს, მაშინ ორივეს, მამასა და შვილს, გული ამოუჯდათ, ტირილი დაიწყეს, შვილმა ბოდიში მოსთხოვა და მამამ შეუნდო. მარტო მამა-შვილური გრძნობაა შემძლებელი, რომ დანაშაული ტკბილის ცრემლით მოჰბანოს ადამიანს და მაყურებელს სიამოვნებით აუტოკოს გული.

◆

დეპეშა

1 თებერვალი

პეტერბურგი. მინისტრთა კომიტეტის დებულების ძალით, რომელიც უმაღლესად დამტკიცებულია თხუთმეტს იანვარს, დადგენილია შემდეგი: იმ თამბაქოზე, რომელიც 1881—1884 წლებში შემოუტანიათ საბაჟოებში, ბაჟის გარდახდა შეიძლება 1889 წლის პირველ იანვრამდე. თამბაქოს მექარხნეებს შეუძლიანთ შეიტანონ 1889 წლის პირველ იანვრამდე ბაჟი იმ თამბაქოსი, რომელიც შემოუტანიათ 1881 წლის პირველ იანვრამდე, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ ბაჟის სამაგიეროდ წარადგინონ შესაფერი გირაო. თუ გირაოს არ წარადგენენ, მაშინ ისევ უკანვე უნდა გაიტანონ თამბაქო საზღვარ გარეთ, ან—და ბაჟის მაგიერ დაუთმონ ხაზინასა.

ვიტებსკი. სამოვიჩს და მილკევიჩს, რომლებსაც ჰბრალდებოდათ რამდენისამე მილიონის ხაზინის ფულის გაფლანგვა, ვიტებსკის ოლქის სასამართლომ ჩამოართვა განსაკუთრებული უფლებანი და უპირატესობანი და გარდაუწყვიტა ტომსკის გუბერნიაში გაგზავნა საცხოვრებლად, ისე რომ ორის წლის განმავლობაში ნება არა ჰქონდეთ წავიდნენ ციმბირის სხვა გუბერნიებში. ადამკევიჩი და ლისოვსკი გაუმართლებია.

ცარიცინი. კეროსინის ფასმა დაიწია 27 კაპეიკამდე თითო ფუთზე, ბაჟს გარდა.

სტამბოლი. იმის გამო, რომ ოსმალეთის მთავრობამ განიზრახა ყაზიმ-ბეის დანიშნვა კომისარად სოფიაში, რუსეთის ელჩი ნელიდოვი დაემუქრა ოსმალეთს, რომ რუსეთი დიპლომატიურს მიწერ-მოწერას და მისვლა-მოსვლას შესწყვეტს ოსმალეთთანაო, თუ რომ ოსმალეთი ყაზიმ-ბეის გაჰგზავნის სოფიაშიო. ოსმალეთმა უარ-ჰყო თავისი განზრახვა. რუსეთის ელჩი იმასაცა ჰთხოულობს, რომ ოსმალეთმა მისცეს ჩერნოგორიის მთავარს მისნი ქვეშევრდომნი, რომლებსაც მონაწილეობა მიუღიათ ბურგასის საქმეში.

როცა პრინცი ფერდინანდი დაბრუნდა ფილიპოპოლიდგან სოფიაში, რკინის გზის საზოგადოების აგენტმა დაუქირა პრინცს ვაგონი, რომელშიაც იყო იმისი ეტლები და ცხენები. აგენტი ასე მოიქცა იმიტომ, რომ პრინცი რკინის გზით მოგზაურობდა საზოგადოების ნება დაურთველადაო.

ლონდონი. გაზეთი «Morning Post»-ი ამბობს, რომ ტყუილიაო, ვითომ რუსეთს, ინგლისსა და საფრანგეთს მოლაპარაკება აქვთ ერთმანერთ შორის კავშირის გამო. გაზეთი ამბობს, რომ ამ სახელმწიფოთა კავშირი საშიში იქმნება მშვიდობიანობისათვისაო, რომელიც მკვიდრად სდგას იმ დრომდე, სანამ ინგლისი და ოსმალეთი მხარს აძლევენ გერმანიისა, ავსტრიისა და იტალიის კავშირსაო. გაზეთი «Standard»-ი ამბობს, რომ თუ ვინიცობაა რომელმამე სახელმწიფომ დაარღვია მშვიდობიანობა, იმ შემთხვევაში ინგლისი ყოველს ღონის-ძიებას იხმარს იმისათვის, რომ წინაამდეგობა გაუწიოს მშვიდობიანობის დამრღვეველს. ინგლისი მზად არის, დაიცვას ყველა ის ხელ-შეკრულობანი, რომლებზედაც ხელი უწერია.

2 თებერვალი

პეტერბურგი. ოსოვეცკის ციხის მეციხვანეთა უფროსად დანიშნულ იქმნა მე-2 ბრიგადის 35-ის ქვეითის დივიზიის კომანდირი ლაზარევი.

პარიჟი. გუშინ პალატის პრეზიდენტს ფლოკეს დიდი წვეულება ჰქონდა. მიწვეულნი იყვნენ სადილად პრეზიდენტი რესპუბლიკისა კარნო და მთელი სადიპლომატო კრებული. მასპინძელი განსაკუთრებულის პატივის-ცემით ექცეოდა რუსეთის ელჩს, მორენგეიმს, რომელიც პირველად იყო ფლოკეს სახლში.

3 თებერვალი

პეტერბურგი. «Нов. Вр.»-ა ამბობს, რომ იმ კომისიამ, რომელსაც უნდა შეეცვალა ბაჟი ბამბეულს საქონელზე, ხმის უმეტესობით გადასწყვიტა, შეამციროს ეს ბაჟიო.

ბერლინი. პარლამენტმა შეიწყნარა მეორედ წაკითხვის შემდეგ სოციალისტების საწინააღმდეგო კანონი, მაგრამ ყველა იმ სასტიკის დამატებით-კი არა, როგორც მთავრობას უნდოდა. კანონს ძალა ექმნება ორის წლის განმავლობაში.

ლონდონი. გუშინ საზოგადოებათა პალატაში გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ფერგიუსონმა ისივე განიმეორა, რაც წინადაცა სთქვა, ესე იგი, რომ ინგლისმა არავითარი ვალდებულება არ იკისრა, ვითომ მონაწილეობას მივიღებ ჩემის მხედრობითა, ანუ სამხედრო ფლოტითა ერთა შორის ბრძოლაშიო. ფერგიუსონმს მაინც უარი სთქვა და არ წარუდგინა პალატას სადიპლომატო მიწერ-მოწერა ინგლისის მთავრობისა და ევროპის სახელმწიფოთა შორის. როცა ჰკითხეს, ინგლისსა და იტალიას შუა მორიგება რამ ხომ არა არსებობს-რაო, ფერგიუსონმა სთქვა, რომ მაგის პასუხს ვერ მოგცემთო.

სტამბოლი. ბურღასის საქმეში შენიშნული ჩერნოგორელები ჩერნოგორიის მთავრობას უნდათ დაუბრუნონო.

პეტერბურგის ბირჟა 29 იანვარი.

	მყიდველისა	გამყიდველისა	გარიგებისა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთმანათიანი ოქრო .	— ,,	— ,,	9 32
ტამოჟნის კუპონები .	— ,,	— ,,	186³/₄
მანათიანი ვერცხლის ფული	— ,,	— ,,	1 35
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	— ,,	264¹/₄
— მეორისა.	— ,,	— ,,	247
გირავნობ. ფურცელნი			
ტფილისის ბანკისა .	— ,,	99	— ,,
ქუთაისის ბანკისა . .	— ,,	99	— ,,
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა.	— ,,	— ,,	— ,,

სავალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე 14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

თებერვალი 29 დღით არის

4 დღე ხუთშაბათი. ღირსისა ისიდორესი და კირილესი. კათოლ. ანდრიასი და იდასი. სომეხ. წმ. სერგიისა და 14 მხედართა. მუსულ. მე-3 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 6—54, ჩადის 5—34. მთვარე 5 დღისაა.

5 დღე პარასკევი. წამება ალაფიასი. კათოლ. წმ. აგატასი. სომეხ. მარხვაა. ქორწინებათა ნება ეძლევათ. მუსულ. მე-4 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 6—52, ჩადის 5—36. მთვარე 6 დღისაა.

⁂

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 თებერვლიდამ 1 მარტამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5	კაპ.
პური 1-ის ხარისხისა . .	3	»
2 ›	2½	»
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5	»
› » 2—	3½	›
› › 3 ›	3	›
ჯვარის მამის პურის ლავაში		›
1-ლის ხარისხისა . .	5	›
მე-2 ხარისხისა . .	4	›
მე-3 — . . .	›	›
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	9	›
სუკი	14	›
ძროხის ხორცი . . .	8	›
› 2 ›	7	›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.	8	›
› 2 ›	7	›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით—დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების საავენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

⁂

განცხადებანი

დავიწყეთ გასყიდვა

სრულიად უშიშარის

შვედურის საიჩკებისა,

რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაცა ღირს. ნარდად მყიდველთ ბევრი დაეთმობათ.

ქარხანა

გ. ბ. ტერ-ასატუროვისა და კº.

ვერაზე, ტფილისის ქალაქში.

(50—18)

КАКАО БЕЗЪ МАСЛА

С. СIУ и Кº

(50—9)

სტოლნაჩალნიკი საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორისა, ილია მოსეს ძე კიკნაველიძე, გულითადის მწუხარებით აცნობებს ნათესავთა და მახლობელთ გარდაცვალებას თავის დის სირინოზისას და სთხოვს მობრძანდნენ 5-ს თებერვალს, დილის ცხრა საათზედ, მუხრანსკის სახლში, მუხრანიანთ ხიდზედ, საიდამაც მიცვალებულს წაასვენებენ ანჩისხატის სობოროში და აქ წირვას გადაუხდიან.

(2—1)

კანცელარია და წიგნთ-საწყობი

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა გადავიდა ახალს სადგურში, სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში, თეატრის გვერდით, №№ 109 და 110. წიგნთ-საწყობი ცალკე არის მომართული. წიგნთ-საწყობში ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნი და სახელმძღვანელოები. ვინც ქალაქს გარედ წიგნს ან სახელმძღვანელოს დაიბარებს, დაუყოვნებლივ გაეგზავნება, მხოლოდ ფოსტის ხარჯი-კი მყიდველმა უნდა გადაიხადოს. კანცელარია და წიგნთ-საწყობი ღია იქნება გარდა კვირა-უქმეებისა დილის 9 საათიდამ საღამოს 8 საათამდე. ვისაც კანცელარიასთან, ან წიგნის-საწყობთან რაიმე საქმე ექმნება, ამ ადრესით უნდა მოჰმართონ: Тифлисъ. Въ канцелярію (ან книжный складъ) Общества распространенія грамотности, Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земел. Банка, №№ 109 и 110.

(50—5)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1888 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თთვით.	10 მ.— კ.	6 თთვით	6 მ. — კ.
11 „	9 „ 50»	5 „	5 „ 25»
10 „	8 „ 75»	4 „	4 „ 75»
9 „	8 „ —›	3 „	3 „ 50›
8 „	7 „ 25»	2 „	2 „ 75›
7 „	6 „ 50»	1 „	1 „ 50»

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარეთ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты «ИВЕРІЯ».

თუ ტფილისში დაკვეთილ გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ.
ბ) სრული უგანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენ ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქცია ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

Доз. цен. Тиф. 3, февраля 1888 г. Типографія А. А. Михельсона, на Гол. Проспектъ въ д. Читахова. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე